ISSN 2346-8378

გოგონების

# საბავშვო პარასკევი

30 სექტემბერი, 2016 წელი

ფასი
2 ლარი

38

გამოდის პარასკეობით

შემეცნებით-
გასართობი
ჟურნალი



ფასდაკლების ვაუჩერი

ამოჭერი ვაუჩერი,
წარადგინე „ბიბლუსის“
ნებისმიერ მაღაზიაში და
მიიღე წიგნი
ფასდაკლებით

საბავშვო პარასკევი

კლასიკური
ზღაპრების
საგანძური

ვაუჩერი ძალაშია
30 სექტემბრიდან
6 ოქტომბრის
ჩათვლით

უამრავი
ზღაპარი ლამაზი
ილუსტრაციებით

~~25 ლარი~~
12.50 ლარი


შეგიძლია იყო
მზრუნველი
Barbie
ნაკრები „მხიარული წუწაობა“
ბარბი და ლეკვი მზად არიან ბანაობისთვის! სანამ დაიწყებ თამაშს ჩაასხი აუზში წყალი და შეავსე ვარდისფერი ბოთლი შენი შამპუნით, ან საპნიანი წყლით, გაქაფე ლეკვი და დააწექი ზურგზე. ყურადღებით იყავი შხეფებმა ძალიან არ გაგწუწონ.
TV
რეკლამა
მოუსვენარი ვარ და ყველას ვწუწავ!
ბარბის ორიგინალი თოჯინები იყიდება მხოლოდ შემდეგ მაღაზიებში:
სუპერი, XS სათამაშოები, პეპელა, ბიბლუს კიდს, კარფური, გუდვილი და სმარტი.

# მერიდას სამყარო

იპოვე სკივრში სიტყვები, რომლებიც მერიდას ყველაზე მეტად შეეფერება.




სიტყვები უკუღმა წაიკითხე და გაიგე, რას ეუბნება მერიდა ბელებად ქცეულ ძმებს.

# მერიდას დესერტი



მერიდამ ტყუპ ძმებს გემრიელი ტორტი მოუმზადა, მაგრამ მსუნაგმა ბიჭებმა ერთი ნაჭერი სადილამდე მოიპარეს. იპოვე ის ნაჭერი, რომელიც ტორტს აკლია.





# ააწყვე ნახატი

ამოჭერი ფრაგმენტები და მოცემული ნიმუშის მიხედვით ააწყვე ნახატი.





# კროსვორდი „ჯადოსნური სარკე“

ივსება ჰორიზონტალურად — მარცხიდან მარჯვნივ.



1. ხახვის ბიჭუნა; 2. ქალთევზა, იგივე...; 3. გაზაფხულის ყვავილი; 4. კრემიანი ნამცხვარი; 5. ... პუჰი; 6. გაზიანი, ტკბილი სასმელი; 7. მუხის ნაყოფი; 8. ცხოველის დიდი კბილი; 9. გამომშრალი ყურძენი; 10. 7X?=49; 11. ეკლიანი ცხოველი; 12. სასკოლო ნივთი; 13. ხის ფიცარი, სკოლაში საწერად გამოიყენება; 14. გოგონების საყვარელი სათამაშო; 15. ნიავი; 16. „... და შვიდი ჯუჯა“; 17. ბაკნიანი ცხოველი; 18. ხის, გრძელცხვირა ბიჭუნა; 19. რძის ნაწარმი, რომელსაც ანდაზის მიხედვით მიზეზ-მიზეზ მარილი აკლია; 20. ქართული ხალხური ზღაპარი ზარმაც, თუმცა მოხერხებულ ყმაწვილზე; 21. ამ ფრინველის სახეობებია: კაკადუ, ჟაკო ...; 22. კუზიანი ცხოველი; 23. ყურძნის კრეფა; 24. გოგებაშვილის სახელი; 25. ყვავილების დედოფლად წოდებული ეკლიანი ყვავილი.

# ლექსები

გივი ჭიჭინაძე



## ეშმაკუნა

ვიჭერ ციცქნა სარკითა
კაშკაშელა მზის სხივებს.
ზარმაცს ღია ფანჯრიდან
ცხვირწინ ავუციმციმე.
თვალები რომ დაჭყიტა,
ვიცინე და ვიცინე.



## ზღარბი

ზღარბო, ზღარბო ქაცვია,
ეს რა ქურქი გაცვია!
დამაკაწრეს ხელები
მაგ ჩხუტუნა ნემსებმა,
ნეტავ შენი დედიკო
როგორ გეალერსება!



## ლოკოკინა

ძამია ლოკოკინაო,
მარტო არ მოგეწყინაო?
მითხარი, რატომ აიგე
ასე პატარა ბინაო?
სტუმრად რომ ვინმე გეწვიოს,
სად უნდა დააბინაო?



## ღრუბელი

მოწყენილია ღრუბელი,
ატირდება და... იწვიმებს,
კრუხს აბა ქოლგა რად უნდა,
ფრთებქვეშ იფარავს წიწილებს.
თბილია დედის ბუმბული,
ვერას დააკლებთ სიცივე.
გზადაკარგული წიწილა
სადღაც ყანაში წივწივებს.

# იპოვეთ 10 განსხვავება





# მხატვარი რაპუნცელი

სოკოების რომელი ჯგუფი დაუხატავს რაპუნცელს?



# პრინცესას დღეობა

დაეხმარე მზარეულს, ტორტი იუბილარ პრონცესას მიართვას და გზა ფანქრით გაუხაზე.



# იფიქრე და გაერთე

რომელ ჩაცმულობას რომელი ფეხსაცმელი მოუხდება?



რომელი გზა მიიყვანს რეივენს პონისთან?



რომელი ნივთი არ სჭირდება ვარცხნილობის დაყენებას?



იპოვე განსხვავებული ნახატი.



# გააფერადე



# კროსვორდი








ფერად უჯრებში ამოი-
კითხავ გრძელთმიანი
პრინცესის სახელს.

**1** ← კრივის მოედანი;

**2** → მაუგლის გამზრდელი მგელი;

**3** „კუნგ ფუ ...“; ←

**4** → ორბორბლიანი საზიდარი, რომელშიც კამეჩებს აბამდნენ;

**5** ← ლეონარდო – კუ ...;

**6** → „დიდი გამყინვარება“ – სკრატი – ... თხილით;

**7** ← პატარა, ძაღლისებრი ცხოველი გრძელი, ზოლიანი კუდით;

**8** → მულტფილმი „... მელია“;

**9** ← სპორტული ნავი.

# სახალისო მათემატიკა

შეასრულე მათემატიკური მოქმედებები და შეავსე ცარიელი რგოლები.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 + 3 + 7 = 14 | 1 + 5 + 6 = ◯ | 5 + 9 + 8 = ? | 10 + 2 + 7 = ◯ | 4 + 4 + 4 = ◯ |

ნიმუშის მიხედვით შეავსე უჯრები სწორი ციფრებით.

9 $\xrightarrow{-2}$ 7 $\xrightarrow{-3}$ 4 $\xrightarrow{-1}$ 3 $\xrightarrow{-2}$ 1 $\xrightarrow{-1}$ 0

ნიმუში

8 $\xrightarrow{-3}$ ☐ $\xrightarrow{-1}$ ☐ $\xrightarrow{-2}$ ☐ $\xrightarrow{+3}$ ☐ $\xrightarrow{-5}$ 0

6 $\xrightarrow{-1}$ ☐ $\xrightarrow{-4}$ ☐ $\xrightarrow{+8}$ ☐ $\xrightarrow{-7}$ ☐ $\xrightarrow{-2}$ 0

7 $\xrightarrow{-5}$ ☐ $\xrightarrow{+5}$ ☐ $\xrightarrow{-3}$ ☐ $\xrightarrow{+2}$ ☐ $\xrightarrow{-6}$ 0

# ქვიშის საათი





5

1
„გამიწიე მურია,
ძმური სამსახურია:
ჩემ მაგივრად
შეჭამე ... და პურია“;


7

2



6

3
„..., ..., ასლამაზი, ...
კაბა მაცვია, აბრე-
შუმის ქოჩორი თავ-
ზე გადამვარცხნია“;

9


4


8
რძის პროდუქტი,
რომელიც ყვან-
ჩალასაც უყვარს;

11


10


12
რასაც ჭორიკნები
ავრცელებენ;


14

13 ტალანტი;

16 10X10=?

15 იტალიის
დედაქალაქი;

# ყველაზე ჭკვიანი ცხოველები

ბევრი ცხოველი საკმაოდ ჭკვიანი და გამჭრიახია, თუმცა, ცხოველებს შორისაც არიან გამორჩეულები. არსებობს მეცნიერთა მიერ შედგენილი რეიტინგები, რომლებშიც ყველაზე ჭკვიანი ცხოველები არიან დასახელებულები. მოდით, მათ შესახებ ჩვენც გავიგოთ.



სულ ყველაზე ჭკვიანები ყოფილან მაიმუნები — პრიმატები. მაიმუნებს შორის კი ყველაზე გონიერები არიან შიმპანზეები და ორანგუტანები. შიმპანზეს ინტელექტუალური შესაძლებლობები წლებია აოცებს ადამიანებს. მათ ჟესტების ენის შესწავლა და პრობლემების გადაწყვეტა შეუძლიათ. პრიმატებს დიდი, რთული ტვინი აქვთ და ძალიან ბევრი უნარი აქვთ განვითარებული.



მეორე ადგილზე არიან დელფინები, მათ რთული ენა აქვთ, შეუძლიათ ერთმანეთთან ურთიერთობა, ესმით ადამიანის ბრძანებები, დელფინებს ომის დროს ფოსტალიონებადაც კი იყენებდნენ.



სპილოებიც ძალიან ჭკვიანები არიან. ეს მათი კარგი მეხსიერების დამსახურებაა. განსაკუთრებით ზუსტად იმახსოვრებენ ადგილებს. ისინი მირთმევის წინ ასუფთავებენ საკვებს და თავიანთი ჯოგის გარდაცვლილ წევრს დასტირიან.

გაგიკვირდებათ და ყვავებიც ყველაზე ჭკვიან არსებათა შორის არიან. ისინი საკმაოდ მაგონიერები და ცბიერები ყოფილან. მაგალითად, როცა თხილს და კაკალს აგროვებენ, მერე გზაზე ყრიან, რომ გამვლელმა მანქანებმა დაამტვრიონ მაგარი ნაჭუჭი, მერე კი, მოთმინებით ელოდებიან, როდის გაივლის მანქანა, რომ ნადავლი აიღონ. ერთმანეთთან გამორჩეული ხმებით ურთიერთობენ და თურმე, ეხუმრებიან კიდეც.





ძაღლი და კატა რომ ჭკვიანი არსებები არიან, ეს ისედაც ყველამ იცის. ათასობით წლის წინ მოშინაურებული ეს ცხოველები უამრავ რამეს იმახსოვრებენ და გებულობენ.



ჭკვიანებს შორის აღმოჩნდნენ თაგვები და ვირთხები, რომლებსაც ძალიან ბევრი რამის გააზრება და მოფიქრება შესძლებიათ.



და ბოლოს, რა თქმა უნდა, თუთიყუშები, რომლებსაც ლაპარაკის სწავლა შეუძლიათ – უფრო სწორად, იმ სიტყვების გამეორება, რაც ხშირად ესმით ხოლმე. მათ, შესანიშნავი მეხსიერების წყალობით, ათასობით სიტყვის გამოყენება შესძლებიათ.

# შეამოწმე შენი ცოდნა





1. „რწყილი და ჭიანჭველას“ მიხედვით, როგორი იყო რწყილი?



ა შრომისმოყვარე

ბ მეგობრისთვის თავდადებული

გ ზარმაცი

2. რით არის ცნობილი სვანეთი?



ა ზღვით

ბ კოშკებით

გ ციტრუსის პლანტაციით

3. რამდენ წელს მოიცავს ერთი საუკუნე?



ა 10

ბ 100

გ 1000



4. როგორი საკრავია დიპლიპიტო?

ა დასარტყამი

ბ ჩასაბერი

გ კლავიშებიანი



5. ჩამოთვლილი ქალაქებიდან, რომელი არ არის დედაქალაქი?

ა რომი

ბ პარიზი

გ ნიუ-იორკი





6. რა ჰქვია მოვლენას, როცა წვიმა დიდხანს არ მოდის?

ა წარღვნა

ბ გვალვა

გ ქარბუქი



7. რა ჰქვია ნემსის ნაწილს, რომელიც ვაშლსაც აქვს?

ა ყუნწი

ბ წვერი

გ კუნწულა



8. რომელი თვეა „ჭირვეული“?

ა თებერვალი

ბ მარტი

გ აპრილი

უპოვე ყველა ცხოველს თავისი მეორე ნახევარი.



# პაწაწუნებისთვის

რომელი ნახატები აკლია ცარიელ უჯრებს?



შეაერთე წერტილები და გაივარჯიშე ხელი.



# გააფერადე



# შერიგება

Winx Club

## იღბლის ფერია

—მე არ შემიძლია ალფეაში დაბრუნება. იქ ვერ დავბრუნდები, ახლა არა!—ჩაილუღლუღა სტელამ.

მერე ფლორას, აიშასა და მუზას თვალებში შეხედა.

– ფარაგონდამ გარკვევით განაცხადა, რომ ყველაფერს მხოლოდ მაშინ გვეტყვის, როცა ალფეაში ჩავალთ, – თქვა მუზამ.

– ნუთუ სხვა გამოსავალი არ არსებობს? აქ ძალიან, ძალიან ბევრი საქმე გვაქვს... გარდა ამისა, ალფეაში უამრავი რეპორტიორია, მათ რომ გაიგონ იქ ვარ, თავს ვეღარ დავიძვრენ. პრობლემები შემექმნება!

– უნდა გავრისკოთ. დარწმუნებული ვარ, რაიმე გამოსავალს აუცილებლად ვიპოვით. – თქვა ფლორამ.

სტელამ უკმაყოფილოდ ამოიოხრა. მერე ჟურნალი ბრაზით მოისროლა, რაღაცის თქმასაც აპირებდა, როცა მოულოდნელად ოთახში ბლუმი და ტექნა შემოვიდნენ.

– უკვე გაიგე?! – შესძახა ბლუმმა, როგორც კი განრისხებული მეგობარი დაინახა.

– რა? რა გავიგე? – იკითხა სტელამ.

– კიდევ ერთი გასაოცარი ამბავი ბიანკა ბლექის შესახებ!

სტელას კიდევ ერთხელ ეცვალა ფერი და მეგობარს თავი დაუქნია. ეგონა ბლუმი ბრენდონისა და იმ საზიზღარი გოგოს ერთად ყოფნის დროს გულისხმობდა.

– ე.ი. უკვე იცი, რომ ტერენუვოლას სტუდენტი იყო. ახლა რა ვქნათ? – იკითხა ისევ ბლუმმა.

  

— ტერენუვოლას სტუდენტიიიიი? — იკივლა სტელამ და სკამზე შეხტა. შეშინებული კოკო და მილი მეორე ოთახში დაიმალნენ. ბლუმი მეგობართან მივიდა. დამშვიდდი, ყველაფერი მოგვიყევი და ჩვენც მოგიყვებით, რა გავიგეთ.

ერთი საათის შემდეგ, ვინქსებმა თავიანთი ზუმიქსის ძალა გამოიყენეს და სულ მალე ალფეაში აღმოჩნდნენ.

— იფიქრეთ, რომ უქმად დაგაკარგვინეთ დრო და აქ სულ ტყუილად მოგიყვანეთ, არა? — იკითხა ფარაგონდამ გოგონების დანახვისთანავე.

— არა, რას ამბობთ! — თქვა ფლორამ.

— სწორედ ეგ ვიფიქრეთ! — აფეთქდა ისევ სტელა.

ქალმა გაიცინა.

— ოჰ, ძვირფასო მეფის ასულო, რა საყვარელი ვინმე ხარ! ახლავე დაგიმტკიცებ, რომ ძალიან ცდები.

მალე ხმამაღლა დაიძახა: — ფიორენცა!

რამდენიმე წამის შემდეგ ოთახის ზღურბლზე ძალიან ლამაზი გოგონა გამოჩნდა და მორცხვად ჩაილაპარაკა: — გამარჯობა!

გოგონას წითელი თმა და ცისფერი თვალები ჰქონდა. სტელამ ისიც შენიშნა, რომ ხელში ერთი უცნაური ჩანთა ეჭირა და გულზე მჭიდროდ იკრავდა. ცუდად შეკრული ელვა შესაკრავიდან თითქოს რაღაცის პატარა თათი ჩანდა. მაგრამ კარგად რომ დააკვირდა თათი ვეღარ დაინახა და დაივიწყა.

ფარაგონდა ახალმოსულს გადაეხვია. მერე გოგო ამაყად გააცნო ვინქსის გოგონებს: — ფიორენცა დამწყები სტუდენტია, მაგრამ უდიდესი პოტენციალი აქვს. გოგონების ერთი ჯგუფის წევრებს მაგონებს, რომელთაც სკოლა რამდენიმე წლის წინ დაამთავრეს.

— ნეტავ მართლა ასე იყოს. — თქვა გოგომ მორცხვად და ისევ გაწითლდა: — საქმე ისაა, რომ მაგია ძალიან მაინტერესებს და დღე და ღამე ვსწავლობ.

— ფიორენცა ალბათ ფლორას, ან ტექნას გაგონებთ, არა მგონია, ჩემ თავს გახსენებდეთ! — თქვა სტელამ და ფარაგონდას გაუღიმა. ყველამ გაიცინა და ახალგაცნობილ გოგონას ხელი გაუწოდეს.

ბოლოს ფარაგონდამ სტელას მიმართა: — შენ მართლა განსაკუთრებული იყავი. ახლა კი მოდი, აგიხსნით, რას ვფიქრობ! ბევრი დრო არ გვაქვს...

ვინქსები ქალს გარს შემოეხვივნენ და ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებით მიაჩერდნენ.

— ჩემო გოგონებო, ფიორენცას დიდი ნიჭი აქვს... ის სიყვარულში იღბლის ფერიაა. როცა თავისი მაგიის გამოყენებას დაიწყებს, დარწმუნებული იყავით, რომ ვიღაცას ვიღაც ყურებამდე შეუყვარდება.

— ანუ კუპიდონია? — იხუმრა მუზამ.

— ასე ვთქვათ! და ის თქვენ ხელშია. თუ თან წაიყვანთ, შეგიძლიათ, ბოლოს და ბოლოს, მრავალწლოვანი მტკივნეული შემთხვევა...

ვინქსის გოგონები დათანხმდნენ. ერთადერთი, ვინც ვერ მიხვდა, რაზე იყო ლაპარაკი, სტელა აღმოჩნდა. ამიტომაც იკითხა: — რა შემთხვევა? ვინ ვის უნდა შევაყვაროთ?

ბლუმმა ჩაილუღლუღა: — ფიორენცა დაგვეხმარება, რომ კიდევ ერთხელ გავაღვიძოთ სიყვარული მამაშენსა და დედაშენს შორის.

— ასე რომ, ეს ჭორაობა, ბოლოს და ბოლოს, დასრულდება და, რაც მთავარია, შენ ისევ... ისევ გექნება ოჯახი... ერთიანი ოჯახი. — თქვა ტექნამ.

სტელა გაფითრდა. ფეხებში სისუსტე იგრძნო და მაშინვე სკამზე ჩამოჯდა. ფარაგონდამ თავზე ხელი გადაუსვა. სტელამ თავის შეკავება ვეღარ შეძლო და აქვითინდა, მაგრამ ტკივილისგან არ ტიროდა. ეს შვებისა და სიხარულის ცრემლები იყო.






გაგრძელება წაიკითხეთ ვინქს კლუბის სერიის წიგნში „შერიგება“.

# ფერადი დროშები

განაგრძე დროშების გაფერადება ისე,
რომ დაწყებული თანმიმდევრობა არ დაირღვეს



# დახატე სასახლე

სასახლის მეორე ნახევარი ზუსტად პირველის მსგავსია.
დაასრულე მისი ხატვა და გააფერადე



# მხატვრის გვერდი



ელისაბედ ჯაჭვაძე, 8 წლის



ანი ჭუმბურიძე, 11 წლის



ნუცა მასპინძელაშვილი, 9 წლის



თეკლა სვანიძე, 12 წლის



კესარია ჟღენტი, 5 წლის



მაიკო ხუციშვილი



სოფიკო კალძე, 5 წლის



მაშო ნემსაძე, 6 წლის



თათია სვანიძე, 10 წლის

## №38-ის პასუხები

პალიტრამედიის ცხელი ხაზი: (995 32) 2 19 60 13
(995 32) 2 19 60 53
ელ.ფოსტა: contact@palitra.ge
sabavshvo@palitra.ge
მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
სარეკლამო: (995 32) 2 37 78 07
(995 32) 2 38 78 70
საბავშვო კარუსელი №38 (604)
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

**გვ. 3. მერიდას სამყარო:**
იკითხება: 1. მონადირეებს უფრთხილდით, დაიმალეთ... 2. ჩვენ ყველაფერს დაგიჯერებთ, გინდა, ტყეში დავიმალოთ?

**გვ. 6. კროსვორდი „სარკე“:**
1. ჩიპოლინო; 2. სირინოზი; 3. ია; 4. ეკლერი; 5. ვინი; 6. ლიმონათი; 7. რკო; 8. ეშვი; 9. ქიშმიში; 10. შვიდი; 11. ზღარბი; 12. რვეული; 13. დაფა; 14. თოჯინა; 15. სიო; 16. ფიფქია; 17. კუ; 18. ბურატინო; 19. დო; 20. ნაცარქექია; 21. თუთიყუში; 22. აქლემი; 23. რთველი; 24. იაკობი; 25. ვარდი.

**გვ. 13. კროსვორდი:**
1. რინგი; 2. აკელა; 3. პანდა; 4. ურემი; 5. ნინძა; 6. ციყვი; 7. ენოტი; 8. ლურჯი; 9. იახტა.

**გვ. 15. ქვიშის საათი. სურ.: წერო; გედი**
1. კარაქი; 2. ბალუ; 3. ასი; 4. ხოხობი; 5. არიელი; 6. მერხი; 7. ბუდე; 8. ყველი; 9. ლომი; 10. სალი; 11. ვირი; 12. ჭორი; 13. ნიჭი; 14. ფრანი; 15. რომი; 16. ასი.

**გვ. 18–19. შეამოწმე შენი ცოდნა:**
1–ბ; 2–ბ; 3–ბ; 4–ა; 5–გ; 6–ბ; 7–ა; 8–ბ.

**გვ. 30. კროსვორდი „პრანჭია“:**
პასუხები: 1. ბალეტი; 2. ტიტა; 3. ტარზანი; 4. ნიანგი; 5. გიტარა; 6. რაპუნცელი; 7. ლილუ; 8. ლუპა; 9. პანდა; 10. დაქალი; 11. ლიმუზინი; 12. ნიკაპი; 13. პინოქიო; 14. ობობა; 15. ბალიში; 16. შიმპანზე; 17. ზებრა; 18. რაგბი; 19. ბილიარდი; 20. დისკი; 21. კიმონო; 22. ნოემბერი.

# როგორი ფეხსაცმელი შეგეფერება




## ქუსლიანი

გაპრანჭვა ძალიან გიყვარს. გინდა, რომ შენი ლამაზი ჩაცმულობა ყველამ შეამჩნიოს. მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეს. მაღალქუსლიან ფეხსაცმლამდე ბევრი გიკლია.

## დაბალქუსლიანი

კომფორტი კარგია, მაგრამ სულ უქუსლო ფეხსაცმელიც არ მოგწონს. ყველაფერში საშუალოს პოულობ და ამიტომ ყოველთვის მოხერხებულად გაცვია.

## კედები

ძალიან სპორტული გოგო ხარ, კედები და ბოტასები შენთვის მოუგონიათ. გრძნობ, რომ მათში უფრო ენერგიული ხარ.

## ბალეტკები

შენთვის მთავარია, ფეხსაცმელმა არ მოგიჭიროს. სილამაზე დიდად არ გადარდებს. გირჩევ, ზოგჯერ განსხვავებული ფეხსაცმელიც მოირგო.

# კროსვორდი „პრანჭია“



1. სპექტაკლი თითის წვერებზე ცეკვით; 2. გაზაფხულის ყვავილი; 3. ჯუნგლებში გაზრდილი ბიჭი; 4. ალიგატორი; 5. სიმებიანი, მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. მაღალ კოშკში მცხოვრები, გრძელთმიანი გოგონა; 7. უცხოპლანეტელი გოგონა „მეხუთე ელემენტიდან“; 8. გამადიდებელი შუშა; 9. კუნგ ფუ...; 10. მეგობარი გოგონა, ანუ...; 11. მდიდრული, გრძელი ავტომანქანა; 12. სახის ქვედა ნაწილი, პირის ქვემოთ; 13. ხის ბიჭუნა ცნობილი ზღაპრიდან; 14. აბლაბუდის მქსოველი მწერი; 15. რაზეც თავი გვიდევს ძილის დროს; 16. ყველაზე ჭკვიანი მაიმუნი; 17. ზოლიანი ცხოველი; 18. ლელობურთი, ანუ...; 19. სამაგიდო თამაში ფერადი ბურთებით და ჯოხით; 20. ინფორმაციის შესანახი ნივთი, რომელსაც კომპიუტერში ვათავსებთ; 21. კარატისტის სამოსი; 22. შემოდგომის ბოლო თვე.

# ლოგიკური თამაში

გამოტოვებული ფიგურები ისე ჩახატე, რომ თანმიმდევრობა არ დაირღვეს.








ეს მშვენიერი წიგნი-ალბომი
ბავშვის პირველი წლების,
პირველი შთაბეჭდილებების,
სასიამოვნო მოგონებების
კრებული გახდება...
მასში ჩაკრული ყოველი
ფოტო, ბედნიერ ბავშვობასთან, საყვარელ
ადამიანებთან, მხიარულ ამბებთან და
ლამაზ მოგონებებთან იქნება
დაკავშირებული.

# ბავშვის ალბომი
# გოგონებისთვის

ყდა: მაგარი ბალიშა
გვ. რაოდ.: 20
ფორმატი: 25.5x28.5

**აქ ცხოვრობს ბავშვობა!**








იკითხეთ წიგნის მაღაზიებში ან დარეკეთ: 0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და
www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ www. palitral.ge Palitra.L.Publishing